ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2020 წლის 28 აპრილი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 12

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. ვლადიმერ ქანთარია
6. თეა გელანტია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. კახა ლატარია
9. ბექა მამაცაშვილი
10. მერაბ ფილიპია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის ი. ბეგიაშვილის 2020 წლის 7 აპრილის N01/1445 წერილის განხილვა (ქ. ხობის ქუჩების სახელდების თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 24 აპრილის N05/1049 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 24 აპრილის N03/1050 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 27 აპრილის N04/1053 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - საგანგებო ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 27 აპრილის N05/1055 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის ი. ბეგიაშვილის 2020 წლის 7 აპრილის N01/1445 წერილის განხილვა (ქ. ხობის ქუჩების სახელდების თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის წერილი, ქ.

ხობის ქუჩების სახელდების თაობაზე (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი მოითხოვს დეტალურ შესწავლას, გამომდინარე აქედან წარმოდგენილი პროექტი სიღრმისეულად იქნება განხილული კომისიაზე და ბიუროს მომდევნო სხდომაზე იქნება წარმოდგენილი კომისიის დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

ყველა ბიუროს წევრი ერთხმად დაეთანხმა საკითხის მომდევნო სხდომისთვის გადატანის თაობაზე წინადადებას

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის მომავალი საკრებულოს სხდომისთვის გადადების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხის განხილვა გადადებულ იქნეს მომავალი საკრებულოს სხდომისთვის.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 24 აპრილის N05/1049 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით,მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამსახურეობრივი საჭიროებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, 3 წლის ვადით საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი 45.132.27.007) მეორე სართულზე არსებული ორი ოთახის 13,4 და 15,458 კვ.მ ფართის გადაცემის თაობაზე. მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის

მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ", რომლის თანახმადაც, შსს-ს გადაეცემა მოთხოვნილი ფართი დროებითი სარგებლობისთვის. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მასში გარკვეული კორექტივების შეტანის შემდეგ გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 24 აპრილის N03/1050 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და ამ მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მკვეთრად მოიმატა საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის აუცილებელმა საკომუნიკაციო ხარჯებმა. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადგილობრივ ოპერაციულ შტაბთან

შეთანხმებით წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მოქალაქეებთან საკონტაქტო პირს, რომლის მხრიდან მოქალაქეთა სათანადო დახმარებისთვის სისტემატურად ხორციელდება მნიშვნელოვანი რაოდენობის სატელეფონო ზარები (აღნიშნული თანამდებობა, გარდა მიმდინარე პერიოდში არსებული დატვირთვისა, ჩვეულებრივ რეჟიმში ისედაც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობასა და საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ თანამდებობას), რაც სათანადო ხარჯებს მოიცავს. ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობის ზარები ხორციელდება მერიის თანამდებობის პირებისგან. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიქმნა საჭიროება სატელეფონო ხარჯების ლიმიტში სათანადო ცვლილებების განსახორციელებლად, რის გამოც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". განკარგულების პროექტით: ა) 50 ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრული ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტი, მათ შორის: ხობის მუნიციპალიტეტის მერის - 15 ლარით; ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის - 15 ლარით; ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის - 20 ლარით; ბ) 50 ლარით იზრდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი, მათ შორის: ხობის მუნიციპალიტეტის მერის - 15 ლარით; ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის - 10 ლარით; ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის - 10 ლარით; ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის - 15 ლარით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილულ იქნა კომისიის მიერ და ამ ეტაპზე ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტების გაზრდა.

აზრი გამოთქვეს: ე.ჯობავა, დ. გაბუნია - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ ეთანხმებიან წარმოდგენილ დასკვნას და ამ ეტაპზე კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში მხარს ვერ დაუჭერენ წარმოდგენილ წინადადებას, მითუმეტეს ლიმიტების გაზრდასთან დაკავშირებით უფრო მყარი და დამაჯერებელი არგუმენტები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ბიუროს ყველა წევრმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მხარს ვერ დაუჭერდნენ ლიმიტის გაზრდას და თანხის დამატებას

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის დამატებითი შესწავლის მიზნით კომისიისთვის დაბრუნებისთვის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დამატებითი შესწავლის მიზნით დაუბრუნდეს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 27 აპრილის N04/1053 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - საგანგებო ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - საგანგებო ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერია შემოვიდა 2020 წლის 27 აპრილის N04/1053 წერილით, რომლითაც საკრებულოს განსახილველად წარუდგინა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მცირდება ხარჯები 237,3 ათასი ლარით. კერძოდ, 12,7 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებები; 41,5 ათასი ლარით - პრიორიტეტის „დასუფთავება და გარემოს დაცვა" ასიგნებები; 130,7 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „განათლება" ასიგნებები; 52,4 ათასი ლარით - პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია. ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებები. გამოთავისუფლებული 237,3 ათასი ლარი მიიმართება „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" პრიორიტეტის „საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები"

ასიგნებაზე. 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით 875,3 ათასი ლარით იზრდება შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და მიიმართება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნებაზე, აქედან, „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე – 477,3 ათასი ლარი, 398,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე. ასევე, 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 2000,0 ათასი ლარით და მიიმართა პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნებაზე. ასევე ასახვის მიზნით გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან“ (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) 784,0 ათასი ლარით და მიიმართა პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციი მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა ჯამში გაიზარდა 2784,0 ათასი ლარით და შეადგინა 16703,8 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილ პროექტში კომისიის მიერ მოხდა სათაურის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ ცვლილება შედის ძირითად დოკუმენტში „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, წარმოდგენილი ცვლილება ცალკე დამოუკიდებელი აქტი ვერ იქნება, რადგან კოდიფიცირებისას აქტის სათაური მთლიანად უნდა შეიცვალოს. გამომდინარე აქედან, სათაურიდან ამოღებულ იქნა „საგანგებო ბიუჯეტის დამტკიცება“, ხოლო დადგენილების პროექტის პრეამბულაში დაემატა საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლი, რომელიც აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობას უფლებამოსილებას ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის დროს დაამტკიცოს საგანგებო ბიუჯეტი. სხვა მხრივ დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 27 აპრილის N05/1055 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N120 დადგენილების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საიდენტიფიკაციო კოდი 45.21.21.314) მდებარე ქ. ხობი ჭყონდიდელის ქუჩა, აშენდა გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურების მიწოდებისთვის შენობა-ნაგებობა, იმავე დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია აღნიშნული უძრავი ქონება გადასცეს სახელმწიფოს, შემდგომში მისი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გადაცემის მიზნით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ

კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა